სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 23 0001098452

07/09/2023

სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 15 მაისის MES 3 23 0000538151 ბრძანების „2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის MES 8 23 0000748153 ბრძანების „ზოგიერთ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით, ტესტირების ჩატარების წესის განსაზღვრისა და შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დავალების მიცემის შესახებ“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის N

01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტექნიკურ უნივესიტეტში საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 11 სექტემბრიდან 2023 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით.
2. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით: მოტივაციური გასაუბრება ან შემოქმედებითი ტური.
3. შეფასების კონკრეტული თარიღების და ფორმების შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდება შეფასების თარიღამდე არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული საკომუნიკაციო საშუალებებით.
4. შეფასებაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ასევე, ტესტირება იმ პროგრამებზე, რომლის წინა პირობაა ტესტირება.
5. სტუ განსაზღვრავს მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
6. სტუ-ს მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგები აისახება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
7. სტუ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული რეიტინგული სიის მიხედვით განსაზღვრავს ჩასარიცხ აპლიკანტებს რიგითობის გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესამდე, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, გამოცხადებული ადგილების რაოდენობის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თამარ წერეთელს.
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
11. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორი
გურგენიძე დავით